თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით ვალდებული ვარ წარმოგიდგინოთ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ბარათაშვილის მიერ გაწეული ერთი წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში.

განვლილი პერიოდი დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, გამორჩეული იყო ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების სიმრავლით, რომელთა განხორციელების შედეგად თვისობრივად შეიცვალა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის პირობები. ჩემი ღრმა რწმენით, მიმდინარე 2023 და შემდგომი წლები უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის და რა თქმა უნდა მთლიანად ქვეყნისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელის შეწყობას, მერიის მისი სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მეშვეობით:

1. **იურიდიულ საკითხთა კომისია** _ თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე

- დღემდე ჩატარებულია 17 სხდომა, განხილული იქნა 38 საკითხი.

2. **საფინანსო-საბიუჯეტო კომისია** _ თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

- დღემდე ჩატარებულია 13 სხდომა, განხილული იქნა 30 საკითხი.

3. **ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია** _ თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

- დღემდე ჩატარებულია 11 სხდომა, განხილული იქნა 18 საკითხი.

4. **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია** _ თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

- დღემდე ჩატარებულია 11 სხდომა, განხილული იქნა 44 საკითხი.

5. **კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია** _ თავმჯდომარე გრიგოლ გიორგაძე

- დღემდე ჩატარებულია 3 სხდომა, განხილული იქნა 3 საკითხი.

აღნიშნულ პერიოდში გაიმართა 20 ბიუროს სხდომა, რომლებზეც, საერთო ჯამში 128 საკითხია განხილული.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა 22 სხდომა, აქედან 10 მორიგი და 12 რიგგარეშე. საერთო ჯამში განვიხილეთ 123 საკითხი, მიღებული იქნა 32 დადგენილება და 72 განკარგულება. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ორი სხდომა ჩატარდა, აღნიშნული საბჭოს ფარგლებში რეგულარულად ხორციელდება შესაბამისი აქტივობები.

ბიუჯეტი

2023 წლის საწყისი ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 19 დეკემბერს და შეადგენდა 16,500,000 ლარს. მოცულობით, მიმდინარე წლის განმავლობაში 18 -ჯერ იქნა შეტანილი ცვლილება და აქედან 3 - ჯერ მერის ბრძანებით თანხების გაზრდის მიზნით და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მთლიანმა მოცულობამ წლის ბოლოსთვის შეადგინა 31,122,300 ლარი, რომელიც განაწილდა მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ პროგრამებზე, ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, განათლებაზე, სპორტზე, გარემოს დაცვაზე და სხვა არსებულ საჭიროებებზე.

სოციალური პროგრამები

ადგილობრივ თვითმმართველობაში მთავარი საზრუნავი არის და ყოველთვის იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. საკრებულომ დაამტკიცა 14 სოციალური პროგრამა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 256 000 ლარი.
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა. ბიუჯეტი - 290 000 ლარი.
3. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 50 000 ლარი

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 114 000 ლარი.
5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 40 00 ლარი.
6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 2000 ლარი.
7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 30 000 ლარი.
8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 96000 ლარი.
9. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინით, ქირით უზრუნველყოფის პროგრამა. ბიუჯეტი - 27 000 ლარი.
10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სახლ დაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 522 000 ლარი.
11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 31 000 ლარი
12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტი - 45000 ლარი.
13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამა. ბიუჯეტი - 10 000 ლარი.
14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების პროგრამა. ბიუჯეტი - 3000 ლარი.

2023 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 690 ათასი ლარი, საერთო ჯამში განხორციელდა 78 ინფრასტრუქტურული პროექტი, აგრეთვე მუნიციპალიტეტში რ.გ.ფ._ისა და საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოიყო 9 201 362 ლარი, რითაც განხორციელდა 19 პროექტი.

1. სოფ. ახალთერჯოლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის ქსელის მშენებლობა, დახარჯულია 936 467,00 ლარი, სასმელი წყლით მომარაგდება 630 ოჯახი.

2. თერჯოლა-ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 496 930,00 ლარი.

3. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 296 507,00 ლარი.

4. სოფ. ჩხარის ცენტრალურ წყალსადენში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით სათავე რეზერვუარისა და მიმწოდებელი მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება 585 491,00 ლარი.

5. ავტობანიდან ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები შეადგენს 274 400,00 ლარს.

6. სოფ. კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 285 495,00 ლარი.

7. სოფ. ქვედა ალისუბანი და ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტის ღირებულება 277 016,00 ლარი.

8. სოფ.გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები შეადგენს 278 500,00 ლარი.

9. ძევრი ჩხარიეწერთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 186 575,00 ლარი.

10. ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები შეადგენს 105 264,00 ლარს.

11. სოფ. ჭალასთავთან დამაკავშირებლი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 210 527,00 ლარი.

12. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის მოწყობა, პროექტის რეაბილიტაცია 206 999,00 ლარი.

13. სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა, რეაბილიტაცია პროექტის ღირებულება 259 132,00 ლარი.

14. ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 100 000,00 ლარი.

15. ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 210 727,00 ლარი.

16. სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები შეადგენს 103 954,45 ლარს.

17. სოფ. ძევრში მდ. ძევრულას კასტრულ ხეობაში რეკრიაციული სივრცის მოწყობა, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდიდან დაიხარჯა 1 212 120 ლარი.

18. ქ. თერჯოლაში მე-3 ბაგა ბაღის მშენებლობისთვის საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფონდიდან დაიხარჯა 2 243 845 ლარი.

19. ქ. თერჯოლაში ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერის მშენებლობისათვის საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფონდიდან დაიხარჯა 1 202 000 ლარი.

ჯანსაღი ცხოვრების სტილი ჩემთვის მნიშვნელოვანია, ამ მიზნით აქტიურად ვართ ჩართული საფეხბურთო, საკალათბურთო, ჭიდაობის და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გამართულ სპორტულ ღონისძიებაში. მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებულმა საფეხბურთო გუნდმა მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო რწმუნებულის თასის გათამაშებაში, რომელიც იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივით და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით გაიმართა. ასევე ჩატარდა შიდა სასოფლო ტურნირები მინი ფეხბურთში, თხუთმეტ ადმინისტრაციულ ერთეულში რომელიც მიზნად ისახავს სოფლებში ფეხბურთის განვითარებას და პოპულარიზაციას. გარდა ამისა გაიმართა ლაშა გოგიაშვილის სახელობის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური ტური მინი ფეხბურთში მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებს შორის გოგონებსა და ვაჟებში. სასკოლო სპორტული თამაშების მხარდამჭერია საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. მუნიციპალურ ტურში მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლების გოგონათა ათმა და ვაჟთა ოცმა გუნდმა. ახალგაზრდული პროექტი, მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფეხბურთის პოპულარიზაციას, უბნებს შორის მეგობრობასა და სპორტულ თანამშრომლობას, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

გარდა ამისა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, აპარატის თანამშრომლები, მერიის შესაბამისი სამსახურები და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები ყოველთვის აქტიურად იღებს მონაწილეობას გამართულ დასუფთავების აქციებში, ასევე მწვანე ნარგავებით ჯანსაღი გარემოს შექმნაში და შენარჩუნებაში.